ოქმი:ო31. 3122325001
თარიღი:21/11/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №12

ქ. ლანჩხუთი

16. 11. 2022 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოგუაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა ექვსი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა

და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განცხადებების ცნობად მიღების თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს და სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განცხადებების ცნობად მიღების თაობაზე.

/მომხსენებელი ია მოქია/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის ცნობად მიღების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

10. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 25 ნოემბერი, 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ 2022 წლის 4 ოქტომბერს და 2022 წლის 27 ოქტომბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს N 5/55066 5/60042 წერილები, რომლებიც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების: კერძოდ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ლესის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 59,49 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.10.46.002.01.500); აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე აცანის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 56,45 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.02.44.003.01.501); შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შუხუთის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 46,15 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.05.46.002.01.500); ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩოჩხათის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საერთო ფართი 42,92 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.13.43.001.01.500 და 27.13.43.001.01.501); გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე გვიმბალაურის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 70,56 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.08.46.002.01.500); ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩიბათის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ 159,66 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.09.46.013.01.500); ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვიანში მდებარე ამბულატორია 74,28 კვ. მეტრი ფართი (27.04.50.282.01.501); ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჩოლობარგში მდებარე 300 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.04.49.794); ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ღრმაღელეში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.16.46.485); ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ეწერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.11.47.230); ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ნიგვზიანში მდებარე 1222.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწია ნაკვეთი და მასზე განთავსებული 104,48 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.14.48.008), სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემას, რათა შემდგომ მოხდეს ზემოთაღნიშნული უძრავი ქონებების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის"-თვის გადაცემა სიმბოლურ 1 (ერთი) ლარად, სადაც მოხდება „სოფლის ექიმის" კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება. ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 108-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობებით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (გაუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, აგრეთვე იმავე კოდექსის 121-ე მუხლის

თანახმად მუნიციპალიტეტის ძირითადი (გაუსხვისებელი) ქონების გასხვისება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. ასევე ზემოთაღნიშნულ წერილში სახელმწიფოსათვის გადასაცემად მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მამათის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 78,80 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.01.42.015.01.503) რომელიც წარმოადგენს ძირითად (გაუსხვისებელ) ქონებას. რეალურად კი აღნიშნულ ფართში ფუნქციონირებს ამბულატორია და ის არ გამოიყენება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ფუნქციების და უფლებამოსილების განსახორციელებლად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ზემოთაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები სახელმწიფოს გადაეცეს საკუთრებაში მამათის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 78,80 კვ.მ. ფართის (ს/კ 27.01.42.015.01.503) ჩათვლით, ფუნქციური დანიშნულების დაკარგვის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში მითითებით.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გასატანად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით მობილიზებულია შემოსავლები 15957,3 ათ ლარი, მათ შორის გადასახადები 8133,2 ათ ლარი, გრანტები 6535,7 ათ ლარი, სხვა შემოსავლები 1288,4 ათ ლარი.

2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5182,8 ლარი შეადგინა, რაც გეგმური მაჩვენებლის (8144,6 ათ ლარი) 63,6 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები :

1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -901,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 1987,3 ათ ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-131,2 ათ ლარი.

2. საერთო დანიშნულების ხარჯი : სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანების საფუძველზე გახარჯულია 61,4 ათ ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 6442,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 63,8 პროცენტია.

საანალიზო პერიოდში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დასრულებულია , კერძოდ:

1. ქ. ლანჩხუთში დუმბაძის, წმ. ნინოს, წულაძის, გოგიჩაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, კუპრეიშვილის შესახვევის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით 2499994 ლარი.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია თანხით 168473 ლარი.

3. ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯიხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიის ელექტრიფიცირების სამუშაოები თანხით 320190 ლარი.

4. ქ. ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია თანხით 130996 ლარი.

- ქალაქ ლანჩხუთში გორგასლის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის საძირკვლის გამაგრების სამუშაოები 654160 ლარის ფარგლებში მიმდინარეობს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. შუხუთიდან სოფ. გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაციის, ნიგოითის, გვიმბალაურის, ნინოშვილის, მამათის, აცანის, შუხუთის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ლესის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე საერთო ღირებულებით 2103878 (ორი მილიონ ასსამი ათა სრვაას სამოცდათვრამეტი) ლარი მიმდინარეობს

შერჩევა შეფასების პროცესი.

მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე გამოყოფილი 600000 ლარი დაკონტრაქტებული არის 2 ხელშეკრულებად და სამუშაოები /გაბიონის მოწყობა/ მიმდინარეობს.

ორ საჯარო სკოლაში ხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები 178799 ლარის ფარგლებში.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2022 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748000 ლარი, სამუშაოები დაკონტრაქტებული არის 18 ხელშეკრულებად, საიდანაც 6 ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს სამუშაოები, 11 ხელშეკრულება დასრულებულია, ხოლო 1 ხელშეკრულება შეწყვეტილია შემსრულებლის მიერ გეგმა გრაფიკის დარღვევის გამო.

დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1330,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 90,1 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1180,8 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 140,0 ათასი ლარით, ხოლო უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებში მოხმარდა 10,0 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 2682,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 87,4 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1986,6 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 542,8 ათასი ლარი რაც გეგმის 99,9 %-ია

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2720,2 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2878,8 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 94,5 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1164,4 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1538,8 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე - 17,0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 743,3 ათასი ლარით 88,4 %-ით ,მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 120,7 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 622,6 ათასი ლარი.

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 115 000 ლარით, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება, პროგრამით დღეის მდგომარეობით სარგებლობს 105 ბენეფიციარი, პროგრამიდან გახარჯულია 97380 ლარი. პროგრამა გათვლილია 115 ბენეფიციარზე. პროგრამით განხორციელდა ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი კერძოდ: ხელი შეეწყო უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 40000 ლარით, პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას. პროგრამით სარგებლობდა ის ოჯახები რომლესაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი და რომელთა ოჯახები არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამით სარგებლობს 22 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 28880 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი კერძოდ: ხელი შეეწყო მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას პროგრამით განხორციელდა 22 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 80000 ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყრისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ასევე ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გათვალისწინებულია ბინის ქირის გადახდა. პროგრამით სარგებლობს 53 ოჯახი, მათ შორის ერთი ძალადობის მსხვერპლი ქალი. პროგრამიდან გახარჯულია 59250 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი კერძოდ განხორციელდა ხანძრისა და მეწყრისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახებს, ძალადობის მსხვერპლი 1 ქალბატონის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. რითაც ხელი შეეწყო მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 51450 ლარით. პროგრამის მიზანია ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით სარგებლობს 84 ბენეფიციარი. პროგრამიდან დაფინანსდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ვეტერანთა შეჭირვებული ოჯახები სულ (72 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 130 000-ს ყოველთვიურად გაეწია 50 ლარით დახმარება, მათ შორის პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად გაიცა 100 ლარით დახმარება (ორი შშმ ვეტერანი). ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახებზე გაიცა ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება (2 ვეტერანი). ამავე პროგრამიდან განხორციელდა დედის დღესთან 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების ერთჯერადად 200 ლარით დასაჩუქრება. (14 დედა); მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარება 9 მაისთან დაკავშირებით (1 ვეტერანი) ვეტერანზე ერთჯერადად გაიცა დახმარება 1000 ლარის ოდენობით. 8 აგვისტოს და ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული მეომრების ოჯახებს საჩუქრად გადაეცა 300 ლარი. 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 11 ოჯახზე გაიცა დახმარება 300 ლარის ოდენობით. ომის მონაწილეთა ოჯახებზე გაიცა სარიტუალო თანხა 250 ლარის ოდენობით (1 ვეტერანის ოჯახზე). პროგრამიდან გახარჯულია 435106 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი: ვეტერანებისა და მათი ოჯახების თანადგომა. ხელი შეეწყო ვეტერანებისა და მათი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პროგრამით განხორციელდა 84 ოჯახის დახმარება.

5. სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15000 ლარით. პროგრამის მიზანია სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა იოანე

ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას (86 მოსწავლე). პროგრამიდან გახარჯულია 13320 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი კერძოდ განხორციელდა მოსწავლეების ტრანსპორტირებით ხელშეწყობა. პროგრამამ ხელი შეუწყო ბავშვების ჯანმრთელობისა და განათლების სრულფასოვნად მიღებას. პროგრამით განხორციელდა -44 მოსწავლის დახმარება.

6. ცენტრ ,,იავნანას" თანადაფინანსების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15000ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და გადასახადები, ასევე დაფინანსდა ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება. პროგრამიდან გახარჯულია 12500 ლარი. ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი კერძოდ ხელი შეეწყო სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 36800 ლარით. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით მიმდინარე წელს ისარგებლა 20 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 19148 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი კერძოდ ხელი შეეწყო დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას და ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15300 ლარით. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშეშე მერქნის შესაძენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 61 ოჯახი. დახმარება გაცემულია 35 ოჯახზე. პროგრამიდან გახარჯულია 8750 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი კერძოდ: განხორციელდა დევნილთა ოჯახების ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 102000 ლარით. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება, კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის თანადაფინანსება- 50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 20 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე

ბენეფიციარები.შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო - გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“ პროგრამით ისარგებლა 502 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 100132 ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულება აღებულია 96 000 ლარზე. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი კერძოდ: განხორციელდა პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა.

10. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 40000 ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველ პირებს რომელთაც ჰყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილი, სოციალურად დაუცველ მშობელს რომელიც მარტო ზრდის 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილს და სოციალურად დაუცველ მარტოხელა(მარტო მცხოვრები) მოხუცები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 0-დან 65 000 -ს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში საშეშე მერქნის შესაძენად გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; სადღესასწაულო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანისათვის და 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის. პროგრამით ისარგებლა 163 ბენეფიციარმა .სადღესასწაულო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტები და ტკბილეული გადაეცა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველ უმწეო ოჯახებს - კერძოდ: უფასო სასადილოს ბენეფიციარებს 98 ბენეფიციარი; ასევე ამ დღესასწაულებთან დაკავშირებით მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს და შეჭირვებულ 30 ოჯახს რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვი გადაეცათ საკვები პროდუქტები და ტკბილეული ბავშვებისათვის. მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს 1 ვეტერანი 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებით და საახალწლო გადაეცათ ტკბილეული. 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებს -1 ხანდაზმულს თავის დაბადების დღეზე გადაეცა ტკბილეული. საშეშე მერქნის შესაძენად ფულადი დახმარება გაიცა 58 ბენეფიციარზე. პროგრამიდან - გახარჯულია 32540 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი განხორციელდა მარტოხელა სოციალურად დაუცველი მოხუცების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და სოციალურად შეჭირვებულთა ოჯახების თანადგომა.

11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 25000ლარით. პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწია ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. პროგრამით ისარგებლა 30 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 24400 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი- პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობას ხელი შეეწყო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში.

12. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2500 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება. პროგრამით განხოციელდა 9 უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება. პროგრამიდან გახარჯულია 2250ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი- უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

13. ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის სარეაბილიტაციო პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 40 200 ლარით. პროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას მხარდამჭერ საინფორმაციო - საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. სრული გამოკვლევებით ისარგებლა კლუბის წევრმა 8 ბენეფიციარმა. ხოლო საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 55-დან 60 ბენეფიციარამდე. პროგრამიდან გახარჯულია 31500 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი. პროგრამით განხორციელებით ხელი შეეწყო ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების -8 ქალის რეაბილიტაცია და მხარდაჭერას, ქალბატონების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

14.ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3000 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 1000 ლარის ოდენობით. პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 1000 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი ხელი შეეწყო ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

15. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 30000 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარები დახმარებას მიიღებენ წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად კერძოდ: ონკოდაავადებულები და ლეიკემიით დაავადებულები მედიკამენტების შესაძენად დახმარება არაუმეტეს(300 ლარისა), მძიმე კარდიოლოგიური(მიოკარდიუმის ინფარქტი), ნევროლოგიური(იშემიური და ჰემორაგიული ინსულტი) და რევმატოლოგიური (რევმატოლოგიური ართრიტი, წითელი მგლურა) დაავადების მქონე ბენეფიციარების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა,რომელთა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს. (ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან). მუნიციპალიტეტის დიალიზის ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მედიკამენტების შეძენაზე დახმარება გაეწევათ წლის განმავლობაში ერთჯერადად არაუმეტეს 150 ლარისა. (დიალიზით მოსარგებლე ბენეფიციარები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან). 0-დან 18 წლამდე შშმ ბენეფიციარებს წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა, რომელთა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს. თანხა ჩაირიცხება შესაბამის სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად პროგრამით ისარგებლა 88 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 16268 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულია პროგრამის მიზანი. ბენეფიციარების მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

16. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 16 000 ლარი, ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0- დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება ურეკში. პროგრამით ისარგებლა 20 ბენეფიციარმა. ბენეფიციარები სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებაზე ძირითადად ივლისის ბოლოდან მოგვმართავენ. პროგრამიდან გახარჯულია 15200 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიიღწევა პროგრამის მიზანი მუნიციპალიტეტის მიერ ხელი შეეწყობა დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარება-დასვენებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

17. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 40 000 ლარი ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა ადრეული განვითერების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში (სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი, სკოლა თუ ცენტრი) გათვალისწინებულია სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯი. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის გათვალისწინებულია სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურება. პროგრამით ისარგებლა 43 ბენეფიციარმა. საიდანაც 24 არის რეაბილიტაცია აბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ხოლო 19 ბავშვი არის ადრეული განვითარების პროგრამის მოსარგებლე პროგრამიდან დაფინანსდა ასევე სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯი. პროგრამიდან გახარჯულია 34710 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი შშმ ბავშვებს ხელი შეეწყო სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებაში. რაც ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

18. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. მიერ. პროგრამის ბიუჯეტია 3000 ლარი. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1000 (ათასი) ლარამდე. პროგრამიდან გახარჯულია 0 ლარი, ბენეფიციარი - 0.

19. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 6000 ლარი, პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის

საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა პროგრამიდან გახარჯულია 6000 ლარი. პროგრამით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი ხელი შეეწყო ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

20. მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 4000 ლარი, პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამით ისარგებლა 0 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 0 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი ხელი შეეწყო რეინტეგრირებული ბავშვის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

21. 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2000 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 300 ლარის ოდენობით პროგრამით ისარგებლა 6 ბენეფიციარმა პროგრამიდან გახარჯულია 1800 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი ხელი შეეწყო ბავშვების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

22. ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტია 3600 ლარი, ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთადერთი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებულ პირთა დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. პროგრამით სარგებლობს 1 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 2700 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულია პროგრამის მიზანი. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების ხელშეწყობას.

23. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის ბიუჯეტია 51600 ლარი, პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან(R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტიური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება. ბ) პროგრამის მოსარგებლისათვის

თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 13 სეანსი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში,სეანსების ოდენობის არანაკლებ 1/4. ამასთან მშობლის თანხმობის შემთხვევაში სეანსის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში გ) ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ) 6 თვეში ერთხელ მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება. მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 400(ოთხასი) ლარისა. პროგრამის ხარჯი 1 თვე 400 ლარი. პროგრამიდან გახარჯულია 29617 ლარი. პროგრამით სარგებლობს 12 ბენეფიციარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეული იქნა პროგრამის მიზანი შშმ ბავშვების სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებაში ხელშეწყობა.

24. კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 25 000 ლარი , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კოვიდ 19-ით ინფიცირებული ბენეფიციარები რომლებსაც დაუდასტურდებათ კოვიდ 19-ი და საჭიროებენ გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე, ასევე კვლევების ჩატარებას, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფიცირებულის სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე ტრანსპორტირება, ასევე კორონა ვირუსზე საეჭვო პაციენტების ტრანსპორტირება კვლევების ჩასატარებლად და სამედიცინო დაწესებულებაში გამოჯანმრთელებული ბენეფიციარის სახლში ტრანსპორტირების დაფინანსება. ხოლო კოვიდ 19-ით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების შემთხვევაში განხორციელდება მათი სასტუმრომდე ტრანსპორტირების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კოვიდ 19-ით გარდაცვლილთა ბინაზე ტრანსპორტირების დაფინანსება -ოჯახის მოთხოვნის შემთხვევაში. ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოვიდ 19-თ გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება. დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან ა(ა)იპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემდგომ დასკვნის მომზადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა კოვიდ ინფიცირებულის დაკრძალვისთვის საჭირო აღჭურვილობა (პირბადე, ფარი, ქუდი , ბაჰილი, ერთჯერადი ხალათი, სადეზინფექციო ხსნარი, სპეც. ჩანთა და ხელთათმანი) პროგრამით ისარგებლა 167 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 13270 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეული იქნა პროგრამის მიზანი კოვიდ-19-ით ინფიცირებული ოჯახების თანადგომა, დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების ანგარიში.

სხდომას შემოუერთდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე.**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის

ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის აგვისტოს თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 7916926.93 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 7916916.93 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 11688985.96 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 80.7 %-ს; დღგ-მ შეადგინა 8555758.05 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 84,6 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 51408,64 ლარი, მათ შორის ფიზიკური პირებიდან - 44328.29 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 75792.89 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 2259190.87 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 70184.85 ლარი; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 236715.21 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 224286.58 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 1696523.42 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის ოქტომბრის თვეში შემოსულობებმა 19605912.89 ლარი შეადგინა.

განვლილ საფინანსო პერიოდში შრომის ანაზღაურება დროულად იქნა გაცემული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა არ დაფიქსირებულა.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 22000922.4 ლარი. ოქტომბრის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 5037380 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიცა 1965523 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 5145285 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 739127 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 9433954 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ დანართების სახით წარმოდგენილი აქვს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N 18 განკარგულებაში ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმიდან ქვემოთ ჩამოთვლილი ობიექტების ამოღებით, მათი პრივატიზების გამო კერძოდ:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალურ ქონებრივ სიკეთის მიკუთვნებული წილი (შ.პ.ს. „ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურიას ს/ნ 433651461 - 100-იანი წილი).

2) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ხანძრისგან დამწვარი)

(27.09.50.282) .

ასევე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში“ დასამატებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.03.45.288) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.52.670) .

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განცხადებების ცნობად მიღების თაობაზე ისაუბრა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განცხადება გააკეთეს ალექსანდრე მახათაძემ და დარეჯან ბურჭულაძემ.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსი“ს 30 1 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ს შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განცხადებები და შეუწყდეს უფლებამოსილება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძეს.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ საკითხი სხდომას გააცნო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობა დატოვა ორმა წევრმა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სრულფასოვნად ფუნქციონირების მიზნით უნდა განისაზღვროს თითოეული კომისიის შემადგენლობა მაქსიმუმ 13 წევრით, ხოლო ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“– 8 (რვა) კომისიის წევრი;

ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“– 2 (ორი) კომისიის წევრი;

გ) ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“– 2 (ორი) კომისიის წევრი;

დ) უფრაქციო საკრებულოს წევრი- 1(ერთი)კომისიის წევრი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის ცნობად მიღების შესახებ საკითხი სხდომას გააცნო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ ფრაქციის წევრების მიერ შემადგენლობის დატოვების შემთხვევაში, შესაბამისად ხდება მათი გაყვანა კომისიებიდანაც და კვოტირების დამტკიცების შემდეგ ისევ ეძლევათ შესაძლებლობა თავიანთი სურვილის გათვალისწინებით შევიდნენ იმავე კომისიებში პერსონალური კვოტით. კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. **იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია:**

ა) გიორგი ხელაძე; ბ) ნინო მშვიდობაძე; გ) ია მოქია; დ) **დარეჯან ბურჭულაძე;** ე) კარლო წილოსანი; ვ) კახა ასკურავა; ზ) მაკა მშვიდობაძე.

2. **სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:**

ა) კარლო კვიტაიშვილი; ბ) ნინო მშვიდობაძე;გ) **დარეჯან ბურჭულაძე;** დ) რევაზ კვერენჩხილაძე; ე) ელისო ჭიჭინაძე; ვ) ლოლიტა ურუშაძე; ზ) კარლო წილოსანი; თ) ირმა მგელაძე; ი) მაკა მშვიდობაძე; კ) გოჩა ჯანაშია.

3. **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია:**

ა) გიორგი იმნაიშვილი; ბ) ელისო ჭიჭინაძე; გ) სპარტაკ კვაჭაძე; დ) ემზარ თევდორაძე; ე) ზაზა წულაძე; ვ) კახა თედორაძე; ზ) ლოლიტა ურუშაძე; თ) გივი

ცინცაძე; ი) გიორგი გოგუაძე; კ) ჯუმბერ ბლაგიძე.

4. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

ა) **ალექსანდრე მახათაძე;** ბ) ია მოქია; გ) გიორგი ჩახვაძე; დ) სპარტაკ კვაჭაძე; ე) კახა თედორაძე; ვ) ვლადიმერ ნანაძე; ზ) გიორგი გოგუაძე; თ) ჯუმბერ ბლაგიძე;

5. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

ა) ზაზა წულაძე; ბ) **ალექსანდრე მახათაძე;** გ) კარლო კვიტაიშვილი; დ) გიორგი იმნაიშვილი; ე) ვლადიმერ ნანაძე; ვ) გიორგი ჩახვაძე; ზ) გივი ცინცაძე; თ) კახა ასკურავა; ი) გოჩა ჯანაშია.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილება.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 14330,0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 934,7 თასი ლარით (6,9 %-ით).

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11117,5 ათასი ლარით;

2022 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 19,0 %-ით (1778,1 ათასი

ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1200,0 ათას ლარს;

2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 200 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 270,0 ათასი ლარით, მათ შორის:

სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 270.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინანსებაზე;

2022 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 25 ათასი ლარით გაიზარდა (10,2%-ით) .

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

რენტა 110,0 ათასი ლარი;

2022 წლის გეგმური მაჩვენებელი შენარჩუნებულია.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 42,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 20,0 ათასი ლარი;

აღნიშნული შემოსავლები 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1850.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2022 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 25,0 % -ით. (2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი გათვლილია 2022 წლის მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით).

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 10,5 ათასი ლარს;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 19000,0 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 3211,7 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 4342,9 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2440,0 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -160,3 ათასი ლარი;

გარე განათება - 769,5 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები-150,0 ათასი ლარი;

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 23,1 ათ ლარი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 700,0 ათასი ლარი:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათ. ლარი

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2324.0 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2049.2 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 254.8 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 3248,6 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 3217,6 ათასი ლარი;

2021 წელთან შედარებით ცვლილება არ განხორციელებულა;

განათლების ღონისძიებები - 31,0 ათასი ლარი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3027,4 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1359,6 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1647,8 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1055,1 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 193,1 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სოციალური პროგრამები - 862,0 ათასი ლარი;

მმართველობა - 5002,0 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1287,0 ათასი ლარი;

მერია - 3355,0 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;

სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური-180,0 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -31,9 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 20,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სულ 19000000ლ;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 5002000ლ;

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა 4822000ლ;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 1287000 ლ;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია 3355000 ლ;

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური 180000 ლ;

საერთო დანიშნულების ხარჯები 180000 ლ;

სარეზერვო ფონდი 70000ლ;

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 20000ლ;

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 90000ლ;

ინფრასტრუქტურის განვითარება 4342900ლ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4763.9 ათასი ლარი;
თავდაცვა - 180,0 ათასი ლარი;
ეკონომიკური საქმიანობა - 2563.1 ათასი ლარი;
გარემოს დაცვა - 2304 ათასი ლარი;
საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1799.8 ათასი ლარი;
ჯანმრთელობის დაცვა - 193,1 ათასი ლარი;
დასვენება, კულტურა და რელიგია-3027.4 ათასი ლარი;
განათლება -3248.6 ათასი ლარი;
სოციალური დაცვა -862 ათასი ლარი;

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში შემოვიდა ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წერილი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ სამსახურს აუცილებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიაჩნია, გაეზარდოს შრომის ანაზღაურების

მუხლი 148200 ლარით, მათ შორის საქონელი და მომსახურების 73200 ლარით არაფინანსური აქტივების 45000 ლარით შემცირების ხარჯზე და 30000 ლარით ზრდა მოხდეს მუნიციპალიტეტის სანებართვო მოსაკრებლის შემოსავლების ზრდის ხარჯზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების ასახვის მიზნით მიზანშეწონილია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მილ-ხიდების გარკვეული რაოდენობა ამორტიზებულია და გამოსულია მწყობრიდან. აქედან გამომდინარე მოსახლეობა ვერ ახერხებს საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებში სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას და აუცილებელია გამოინახოს გარკვეული სახსრები ზემოხსენებული პრობლემის მოსაგვარებლად, რასაც დაეთანხმნენ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** და საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** ასევე აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტში აუცილებლად უნდა იყოს გარკვეული თანხა გათვალისწინებული აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტში არის გზების მიმდინარე შეკეთების პროგრამა, სადაც შესაძლებელია თანხის დამატება და პროგრამის სახელწოდებაც ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად-გზებისა და მილხიდების მიმდინარე შეკეთება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტში წყლის მოვლა-პატრონობაზე გამოყოფილი თანხებიც არ არის საკმარისი.

ბიუროს წევრების აზრით, მუნიციპალიტეტისათვის საჭიროებას წარმოადგენს ტექნიკის შეძენა. კერძოდ: ა(ა)იპ ლანჩხუთის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს“ ესაჭიროება გრეიდერი, ჯისიპი, კომპრესორი, რომელიც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი